გიგი

ბრალია გიგის სიკვდილი,
ფშაველნ ნუმც გაიგონებენ:
შაიყრებიან ციხე-გორს,
ლაშქრობას მაიგონებენ.
გულზე ეკალი დაესხმისთ,
მტერს ვეღარ დაიმონებენ.
დ გიგი სადა გყავთ, ფშავლებო,
ან იმის ცხენი ტიალი?
დ გიგის თოფ დაჰკრეს ქისტებმა,
სისხლმა დაიწყო წკრიალი.
აღარ აცალეს რჯულ-ძაღთა,
ფრანგულს გაეღო კრიალი.
გვენახა არწივის მოსვლა,
წეროთ დაქსაქსვა, გრიალი.
დაგენატრებათ, ფშაველნო,
გიგის ფრანგულის ტრიალი.
ახადს გავსთხარეთ სამარე
შავგვრემანაის ბიჭისა.
ცოლს გავუგზავნეთ იმისას
ლურჯი პერანგი გიგისა.
გიგის ლურჯაი ბაგას ჰბავ,
თვალით ცრემლები მისდისა,
ტოტს უცემს მხარ-კვერიანი,
ზურგი დაღარა მიწისა.
დ ხმალი რას შვრება გიგისი,
ფრანგული გველის-პირისა?
დ სამჯერ იღვრება დღეშია,
უგიგიობას სტირისა.
დ ცოლი რას ამბობს გიგისი,
ქალი ლუხუმათ ბერისა?
დ ქმარს ეძებს მოშინაურეს,
არ-მიმდევარსა მტერისა.
დ დედამ რაღა სთქვა ჯავარამ
შვილის სიკვდილის თქმაზედა?
დ გონთით გადვარდა ბეჩავი,
ხელი იტაცა თმაზედა,
შუა გახია მანდილი,
ხორცი იგლიჯა ტანზედა.
ვეღარ გაუძლო ვარამსა,
დანას დაეჭრა ფხაზედა.
დ მამამ რაღა სთქვა თინიბექმ,
ამბავ რო უთხრეს შვილისა?

დ გულ ჩაიმჯიღა, ჩაფიქრდა,
ალი აჰვარდა პირისა:
"რად არ აცალეს რჯულ-ძაღთა
ვეფხვს ერთხელ გასმა კბილისა?
მოკლან, თუ მოკლეს, რაღა ვქნა,
წეს ეგ არიო გმირისა!"
დ შვილმა რაღა სთქვა მახარემ,
ვაჟკაც წვერ-შამამავალმა?
დ ზავთი დაიდვა, როგორაც
ღრუბელმ ცას გადმამავალმა;
სამტროდა ჰლესავს ფრანგულსა,
სისხლი აიღოს მამისა,
შაღებოს ქისტის სისხლითა
ქერა ულვაში ბრძამისა.
დ რვალი სადღაა გიგისი,
სამკლავე, საფუხარია?
დ ომში ურვალოდ ჩავიდის,
მეხად ცით ნაქუხარია.

1888 წ.